სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401
Pგანათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
II კორპუსი, II სართული, დეკანატი–ოთახი №27 ტელ.: 0350 27-11-76;
E-mail: edu.faculty@tesau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**დაწყებითი განათლება**
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (I საფეხური)
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	ძირითადი აკადემიური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების ბაკალავრი
სწავლის ხანგრძლივობა	ოთხი აკადემიური წელი
ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი	Profესორი ნინო ნახუცრიშვილი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	პროგრამის განხორციელების მიზანია შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი დაწყებითი საფეხურის პედაგოგიური კადრის მომზადება ისეთი ცოდნითა და კომპეტენციებით, რომლებიც აუცილებელია განათლების სფეროში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული პრიორტიტეტების გაცნობიერებისა და მოსწავლესა და შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები	**<u>ცოდნა და გაცნობიერების მხრივ:</u>** - კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზნები, იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სტრუქტურას, ეროვნულ სასწავლო გეგმას, დაწყებითი განათლების საფეხურის სტანდარტს, საგნობრივ სტანდარტებს; აქვს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის დისციპლინების ცოდნა; ფლობს პედაგოგიური ეთიკის თეორიულ საფუძვლებს; აქვს დაწყებითი განათლების პედაგოგისათვის საჭირო საგანთა/საგნობრივი ჯგუფების საბაზისო ცოდნა; ფლობს სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების თეორიულ საფუძვლებს; იცის როგორ გამოიყენოს სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისათვის. გააჩნია ცოდნა ინკლუზიური განათლების შესახებ; აქვს მოსწავლეთა და მშობელთა კონსულტაციისათვის საჭირო ცოდნა; **<u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</u>** შეუძლია: ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, ყველა მოსწავლისათვის სწავლის ხელშემწყობი და სამართლებრივი გარემოს შექმნა; პედაგოგიურ პრაქტიკაში სწავლების და სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების, საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი გამოყენება; ეფექტური ორგანიზებული საინტერესო ისეთი გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას ამ გარემოსთან. **<u>კომუნიკაციის უნარი:</u>** იცის ურთიერთობის სტრატეგიები; აქვს ზეპირი და წერითი სახით კომუნიკაციის უნარი; შეუძლია თვითშეფასება, კრიტიკული აზროვნება; შეუძლია ურთიერთპატივისცემაზე აგებული ეფექტური კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე; აქვს სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი. **<u>სწავლის უნარი:</u>** აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერების და დამოუკიდებლად სწავლის შეუძლია პროფესიული სიტუაციების შეფასება და ანალიზი. აქვს დასკვნის გაკეთების უნარი. **<u>ღირებულებები</u>** ერკვევა პროფესიულ ფასეულობებში და იცის ეროვნული ღირებულებები ამ მიმართებით; პატივს სცემს აზრის მრავალფეროვნებას; აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი;
დასაქმების სფერო	განათლების ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება შრომითი საქმიანობის დაწყება საგანმანათლებლო სისტემაში: დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, საგნის მასწავლებლად, სათანადო კვალიფიკაციის გავლის შემდეგ სკოლამდელი აღზრდის ან სპეციალური საჭიროების მქონე მასწავლებლად, ყველა იმ სახელმწიფო თუ

არასამთავრობო სტრუქტურებში, სადაც ესაჭიროებათ განათლების ბაკალავრი